საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი

vhs
DVV International

მოგესალმებით
და გაგაცნობთ
საქართველოს
ზრდასრულთა განათლების
ქსელის (GAEN) მიერ
მიმდინარე წლის ბოლო
პერიოდში გაწეული მუშაობისა და
საინტერესო მოვლენების შესახებ

№3
2016

ნომერშია:

- ფესტივალი „გენდერი იწყება ჩემგან" 2
- ლიდერობის პროექტი იძულებით გადაადგილებული და ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე თემებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის 4
- ჟურნალისტთა მედია კონკურსი ზრდასრულთა განათლების თემაზე 6

ფესტივალი „გენდერი იწყება ჩემგან“

25-30 სექტემბერს საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის (GAEN) ორგანიზებითა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით უკვე მეორედ გაიმართა ფესტივალი „გენდერი იწყება ჩემგან“, რომელიც ამავე სახელწოდების პროექტის ფარგლებში საქართველოს რამდენიმე რეგიონში ჩატარდა.

აღნიშნული პროექტის მიზანია რეგიონებში გენდერული თანასწორობის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვისა და ძალადობის პრევენციის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ქალთა უფლებების დაცვისა და მათი სოციალური აქტიურობისთვის.

ფესტივალი პროექტის სამიზნე რეგიონებში: **თეთრიწყაროში, კახეთში (სოფ. ლელიანი), ჩოხატაურსა და ჯვარში გაიმართა და** ითვალისწინებდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის მრგვალი მაგიდისა და საჯარო ლექციების ფორმატში საუბრებს თემაზე „ოჯახში ძალადობა და ადამიანის უფლებები – განათლება პრევენციისთვის“ ქალთა კლუბების, ზრდასრულთა განათლებისა და სათემო განათლების ცენტრების, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის, საქართველოს პროკურატურის, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით. ფესტივალის პროგრამა მოიცავდა საჯარო შეხვედრებსაც უფლებადამცველებთან და წარმატებულ ქალბატონებთან, ფორუმ-თეატრის წარმოდგენებს, ადგილობრივ მხატვართა ნამუშევრებისა და პროექტის ბენეფიციართა ხელნაკეთი ნივთების გამოფენებს; კონცერტებს ხალხური სიმღერისა და ცეკვის ადგილობრივი ანსამბლების მონაწილეობით.

ფესტივალს რეგიონებში საქართველო-

ში გერმანიის საელჩოს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სახალხო დამცველის ოფისის, პროკურატურის, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, ზრდასრულთა განათლებისა და სათემო განათლების ცენტრების, ქალთა კლუბების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. **ფესტივალი „გენდერი იწყება ჩემგან“ 25 სექტემბერს ქალაქ თეთრიწყაროში** გაიხსნა, სადაც კულტურისა და დასვენების პარკში საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის ორგანიზებითა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები გაიმართა. ეს გახლდათ ადგილობრივი ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მონაწილეობით გამართული კონცერტები, სპორტული შეჯიბრებები; მოეწყო ასევე აგრო-ბიზნეს კუთხე, სადაც კოდის სოც. საწარმო „არტკოდამ“, თეთრიწყაროს სახელოვნებო სკოლამ და წინწყაროს სათემო განათლების ცენტრმა ხელნაკეთი ნივთები გამოფინეს.

28 სექტემბერს ფესტივალმა კახეთში, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანში გადაინაცვლა, სადაც ზრდასრულთა განათლების ქსელის ორგანიზებით რამდენიმე ღონისძიება მოეწყო. გაიმართა საჯარო ლექციები ქალთა უფლებებისა და თანასწორობის საკითხებზე; მრგვალი მაგიდის ფორმატში – დისკუსია, რომელსაც ქალთა კლუბების, ზრდასრულთა განათლებისა და სათემო განათლების ცენტრების, სახალხო დამცველის ოფისის, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და გერმანიის საელჩოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. დისკუსიაზე **სახალხო დამცველის აპარატის კახეთის ოფისის წარმომადგენელმა ნათია ფიცხელაურმა** უშუალოდ რეგიონში არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა ოჯახში ძალადობისა და ქალთა უფლებების საკითხში. როგორც მან აღნიშნა, პრაქტიკა აჩვენებს, რომ ოჯახში ძალადობისა და, კერძოდ, ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევები ყველაზე ხშირი კახეთის რეგიონშია, რასაც სტატისტიკაც ადასტურებს: 2015 წელს კახეთში 378 შემაკავებელი ორდერი გაიცა, რაც

ორჯერ აღემატება სხვა რეგიონების მონაცემებს. მთავარი პრობლემა ცნობიერების ამაღლება და ინფორმაციის ნაკლებობაა მოსახლეობაში თანასწორობისა და უფლებების შესახებ; ასევე – ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე სამართალდამცველების არასათანადო რეაგირება.

ადამიანის უფლებათა ცენტრის კახეთის ოფისის წარმომადგენელის, იურისტ ლია ხუროშვილის თქმით კი, მათი ინტერესების დაცვის დროს ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა ქალების ეკონომიკური მდგომარეობაა. ქალებს ხშირად არა აქვთ შესაძლებლობა, გადაიხადონ ბაჟი სამართალწარმოებისას, რომელიც ქონების გაყოფას ეხება. პრობლემაა, ასევე, საცხოვრებელი, რადგან, როგორც წესი, ქალს წასასვლელი არსად აქვს და არც დამოუკიდებლად ცხოვრების სახსრები გააჩნია. ამ მიზეზების გამო ბევრი ქალბატონი თავს იკავებს, მიმართოს სასამართლოს, იძულებულია, დარჩეს ძალადობრივ გარემოში, რადგან იცის, რომ შვილებთან ერთად მატერიალურად ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდება.

დისკუსიაზე საუბარი შეეხო ნაადრევ ქორწინებასაც. როგორც იურისტებმა აღნიშნეს, ამ საკითხთან მიმართებაში ცვლილებები საგრძნობია, იმატებს მოსახლეობის ინფორმირებულობის დონეც, თუმცა ტენდენციის შეცვლის მთავარი მიზეზი მაინც კანონით გათვალისწინებული სადამსჯელო ღონისძიებებია.

მრგვალი მაგიდის ფორმატში გამართულ დისკუსიაზე აღინიშნა სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის უფრო აქტიური კოორდინაციისა და თანამშრომლობის აუცილებლობის შესახებ ოჯახში ძალადობის პრევენციის მიზნით.

დისკუსიაზე უჩვენეს ფილმი, რომელშიც რეგიონში მცხოვრები სხვადასხვა ასაკის ადამიანები ოჯახში ძალადობისა და სახელმწიფოსა და საზოგადოების როლზე საუბრობდნენ პრობლემის მოგვარების საქმეში.

ფესტივალის ფარგლებში გამოფენაც მოეწყო ადგილობრივი მოსახლეობისთვის ოჯახში ძალადობის თემაზე; ასევე, შეხვედრები წარმატებულ ქალებთან, მხატვართა ნამუშევრების გამოფენა და კონცერტი ადგილობრივი ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების მონაწილეობით.

29 სექტემბერს ფესტივალმა ჩოხატაურში გადაინაცვლა და ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრში წარმოადგინა მსგავსი შინაარსის საზეიმო-შემეცნებითი პროგრამა.

ფესტივალი ,,გენდერი იწყება ჩემგან“ 30 სექტემბერს ჯვარის სათემო განათლების ცენტრში დასრულდა, სადაც ადგილობრივი შემოქმედებითი ძალებითა და საზოგადოების აქტიური ჩართულობით ძალზე საინტერესო, მრავალფეროვანი და მართლაც დაუვიწყარი ზეიმი შედგა.

ლიდერობის პროექტი იძულებით გადაადგილებული და ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე თემებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის

დემოკრატიის განვითარების მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში ამერიკის საელჩოს მიერ დაფინანსებულ „ლიდერობის პროექტს იძულებით გადაადგილებული და ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე თემებში მცხოვრები ახალგზარდებისთვის“ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი უკვე რამდენიმე თვეა ახორციელებს ჯვარისა და კოდის სათემო განათლების ცენტრებთან და მშვიდობის კორპუსთან ერთად საქართველოში. პროექტის შესახებ გვესაუბრება საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის წარმომადგენელი, პროექტის კოორდინატორი ლიკა ქუთელია:

– **ლიკა, მოგესალმებით და თუ შეიძლება, გვიამბეთ ლიდერობის პროექტის შესახებ, რომელიც იძულებით გადაადგილებული და ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე თემებში მცხოვრები ახალგზარდებისთვის ხორციელდება დღეს ქსელის მიერ...**

– პროექტი 2016 წლის ივლისში დაიწყო და 2017 წლის თებერვალში დასრულდება. მისი მიზანია ახალგაზრდებს შორის სამოქალაქო აქტივობის გაზრდა, თვითმმართველობის ინსტიტუტებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა და ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ კოდის დევნილთა დასახლების, ჯვარის დევნილთა დასახლების, შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე თემებსა (დიცი, მერეთი, ერგნეთი) და სამეგრელოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე თემებში (მუჟავა, ფახულანი, ფოცხო-ეწერი, რუხი) მცხოვრები ახალგაზრდები 16-26 წლამდე; ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, რომლებიც ახალგაზრდობის საკითხებზე მუშაობენ.

– **როგორ მოხდა მათი შერჩევა, ყველა მსურველს შეეძლო პროექტში მონაწილეობა?**

– პროექტში მონაწილეობის სურვილის გამოხატვა, რა თქმა უნდა, შეეძლო ყველას, ვინც აღნიშნულ კატეგორიაში მოიაზრებოდა, თუმცა მათგან პროექტის მონაწილეთა შერჩევა მოხდა სამიზნე თემების ახალგაზრდების მიერ სააპლიკაციო ფორმის წარმოდგენისა და შემდეგ ინტერვიუს (უშუალო გასაუბრების) საფუძველზე. ამ გზით მსურველთაგან საბოლოოდ შეირჩა ოცი ახალგაზრდა, რომლებმაც ადგილობრივი თვითმმართველობიდან ასევე შერჩეულ ხუთ წარმომადგენელთან ერთად, აგვისტოში არაფორმალური განათლების ინტენსიური სასწავლო პროგრა-

მა გაიარეს. პროგრამა პროექტების მართვისა და თემის განვითარების საკითხებს მოიცავდა და მისი შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული **მშვიდობის კორპუსის მოხალისე დარლინ უგვა და საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის მოხალისე ანეტ ჯენსენი.** პროგრამის ფარგლებში ახალგაზრდებმა, თემის ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით, შეიმუშავეს სათემო პროექტები (ხუთი სათემო პროექტი), რომლებსაც ადგილობრივი თვითმმართველობისა და საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის მხარდაჭერით სექტემბრის თვიდან ახორციელებენ. ეს სათემო პროექტებია: **„თანატოლგანმანათლებელთა ცენტრი“ (შიდა ქართლში მცხოვრები ახალგაზრდები); „ჩ-ART-ე“ (კოდის დევნილთა დასახლების ახალგაზრდები); „თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ცნობიერების ამაღლების პროექტი“ (ჯვარი-ფახულანის ახალგაზრდები); „გახდი აქტიური მოქალაქე“ (რუხში მცხოვრები ახალგაზრდები); „ბიბლიოთეკა განათლებისთვის“ (მუჟავა-ფოცხო-ეწერის ახალგაზრდები).**

– **თუ შეიძლება კონკრეტულად შევეხოთ თითოეულ მათგანს, რას ითვალისწინებენ და როგორ მიმდინარეობს ისინი?**

– **„თანატოლგანმანათლებელთა ცენტრის“** პროექტის გუნდი თანასწორგანმანათლებლობის მიმართულებით ბულინგის პრევენციის გარშემო გადამზადდა და მიღებული ცოდნის გაზიარებას დიცის, მერეთის, ერგნეთის, ზემო ნიქოზისა და ფხვენისის სკოლების 14-18 წლის მოსწავლეებისთვის უახლოეს მომავალში დაიწყებს ტრენინგების სახით.

კოდას დევნილთა დასახლების ახალგაზრდების მიერ შემუშავბული პროექტის „ჩ-ART-ე“ გუნდი კი აქტიურად უწევს ორგანიზებას ტრენინგებს მოხალისეობის თემაზე კოდასა და თეთრიწყაროს საჯარო სკოლებში და მასში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამ სკოლების მოსწავლეებმა. მოხალისეობისა და სამოქალაქო აქტივიზმის თემაზე ასევე გამოცხადდა Street Art-ის ნამუშევრების კონკურსი და კიდევ სხვადასხვა სახის მოხალისეობრივი აქტივობები მომავალშიც იგეგმება.

რაც შეეხება „თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ცნობიერების ამაღლების პროექტს“, მის ფარგლებში პროექტის გუნდმა სააპლიკაციო ფორმები გაავრცელა მათივე თემის მე-11-მე-12 კლასის ახალგაზრდებში და შერჩეული მონაწილეები სან დიეგოს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ „STEM“ ვორქშოფს დაესწრნენ ოქტომბრის თვეში. იგიგმება ასევე ზამთრის ბანაკის გამართვა თანამედროვე ტექნოლოგიების გარშემო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, რისთვისაც აქტიური მოლაპარაკება მიმდინარეობს ახლა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ორგანიზაციებთან.

პროექტი „ბიბლიოთეკა განათლებისთვის“

ისახავს მიზნად, კერძოდ, მუჟავასა და ფოცხოეწერის (ჭალეს) თემებში არსებული ადგილობრივი ბიბლიოთეკების აღჭურვას სასკოლო პროგრამული და დამატებით საკითხავი ლიტერატურით, რის ნაკლებობასაც ორივე ბიბლიოთეკა განიცდის. მასწავლებლებისა და აბიტურიენტების გამოკითხვის შედეგად შედგა საჭირო წიგნების სია და მათ შესაძენად ამჟამად ფონდების მოძიება მიმდინარეობს. მონაწილეებმა, „კარდაკარის“ მეთოდით თემებში ოჯახებიდანაც შეაგროვეს წიგნები, რომელთაც ბიბლიოთეკებს გადასცემენ. ბიბლიოთეკების აღჭურვა კომპიუტერითა და ინტერნეტითაც იგეგმება.

პროექტის „გახდი აქტიური მოქალაქე“ ფარგლებში კი პროექტის გუნდმა სააპლიკაციო ფორმების საფუძველზე შეარჩია სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუნიციპალური ბიუჯეტის განხილვის სხდომებში ჩაერთვება და საკრებულოს წარუდგენს ახალგაზრდობისთვის აქტუალურ პრობლემებს, რომლებიც რუხის თემის ახალგაზრდებში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა. სამუშაო ჯგუფის წევრები „ადვოკატირებისა“ და „ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმარების“ მიმართულებით გადამზადდნენ და სხდომებში აქტიური მონაწილეობის მისაღებად მზად არიან.

– **წარმატებები მათ და ლიდერობის პროექტის ყველა მონაწილეს...**

ჟურნალისტთა მედია კონკურსი ზრდასრულთა განათლების თემაზე



საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის (GAEN) მიერ 2015 წელს ჩატარებული „ჟურნალისტთა მედია კონკურსი ზრდასრულთა განათლების თემაზე“ ტრადიციად იქცა და ბეჭდურ მედიასა და ინერნეტსივრცეში ზრდასრულთა განათლების თემაზე გამოქვეყნებული ნამუშევრებიდან საუკეთესო პუბლიკაცია წელს უკვე მეორედ გამოავლინა. დაჯილდოების ცერემონიალი 16 დეკემბერს სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის DVV International ოფისში გაიმართა და მას მედიისა და ზრდასრულთა განათლების სფეროში მოღვაწე ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მედია კონკურსი ამჯერადაც საქართველოში ზრდასრულთა განათლების პოპულარიზაციასა და მის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ისახავდა მიზნად და 2016 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით პრესასა და ინტერნეტსივრცეში ზრდასრულთა განათლების თემაზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს მოიცავდა. შემოსული განაცხადების მიხედვით კონკურსში მონაწილეობა 24 ჟურნალისტმა და თავისუფალმა ბლოგერმა მიიღო, რომელთაგან საუკეთესო ზრდასრულთა განათლების ექსპერტებისა და ჟურნალისტებისაგან შემდგარმა ჟიურიმ შეარჩია. როგორც ჟიურის წარმომადგენლებმა დაჯილდოების ცერემონიალზე აღნიშნეს, საუკეთესო ნამუშევრის გამოვლენა ძალიან გაუჭირდათ, ამიტომ წელსაც, როგორც შარშან, კონკურსის ჯილდო (1000 ლარი) ორ გამარჯვებულს შორის გაიყო. ესენი გახლავთ საქართველოს ახალგაზრდა მკვლევარ-სოციოლოგთა ასოციაციის მკვლევარი ნინო გელანტია და გაზეთ „24 საათის“ ჟურნალისტი მზეხა მახარაძე. ფულად ჯილდოსთან ერთად გამარჯვებულებს სამახსოვრო პრიზები და სერტიფიკატებიც გადაეცათ. მადლობის სიგელებითა და სამახსოვრო პრიზებით დაჯილდოვდა ასევე კონკურსის ყველა მონაწილე.

ხატია ცირამუა, საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის (GAEN) დირექტორი: - მინდა, მადლობა გადავუხადო და წარმატება მივუღოცო კონკურსის გამარჯვებულებს, კონკურსის თითოეულ მონაწილეს აქტიურობისა და ჩართუ-

ლობისთვის. მათი ნამუშევრები, მართლაც, საუკეთესო იყო, ყველა თავისებურად და გამოირჩეოდა როგორც თემატური მრავალფეროვნებით, ისე პროფესიული შესრულების ხარისხით. ამიტომ ვერც წელს გავექეცით საკონკურსო ჯილდოს გაყოფის შარშანდელ პრაქტიკას და, როგორც ხედავთ, ისევ ორი გამარჯვებული გვყავს. მონაწილეთა ასეთი აქტიურობა კი ნიშნავს იმას, რომ ზრდასრულთა განათლების თემით დაინტერესება ჟურნალისტებშიც და საზოგადოებაშიც იზრდება და ჩვენი მედია კონკურსი დასახულ მიზანს ამართლებს. ვფიქრობთ, იგი ნამდვილად კარგ ტრადიციად დამკვიდრდა და მომავალ წელს კიდევ უფრო მეტი წარმატებით გაიმართება. კონკურსის მხარდამჭერია სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის DVV international საქართველოს ოფისი, რომელსაც ასევე დიდ მადლობას ვუხდით თანამშრომლობისთვის.

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი
მისამართი: თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის 9, II სართული
ტელეფონი: 2 22 25 84 ელ-ფოსტა: info@gaen.org.ge
ვებ-გვერდი: www. gaen.org.ge

რედაქტორი:
რიტა ბაინდურაშვილი

ელექტრონული ბიულეტენი მომზადებულია სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის DVV International ფინანსური მხარდაჭერით.